საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11490/01
12/12/2022

11490-01-2-202212121719

საქართველოს პრეზიდენტს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე,

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ანგარიშს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 მარტის #2-164 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ჩინჩილაკაშვილი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წარმოდგენა უზრუნველყოფილია სამინისტროს ელექტრონული პორტალისა (http://mepa.gov.ge/Ge/SubscribePublicInfo) და სამინისტროს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (info@mepa.gov.ge) მეშვეობით, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-სა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

2021 წლის 10 დეკემბრიდან 2022 წლის 10 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდში, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' მესამე თავის შესაბამისად, სამინისტროს, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მომართა 232 განმცხადებელმა. სამინისტროში შემოსული 232 განცხადებიდან:

- 111 შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო ფიზიკური პირი;
- 120 შემთხვევაში, დაინტერესებული პირი იყო იურიდიული პირი, მათ შორის: 13 შემთხვევაში, განმცხადებელი იყო სამეწარმეო იურიდიული პირი, 85 შემთხვევაში-არასამეწარმეო იურიდიული პირი, ხოლო 22 შემთხვევაში-სხვადასხვა მედია საშუალება;

- 1 შემთხვევაში სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მომართა ადმინისტრაციულმა ორგანომ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსული 232 განცხადებიდან:

- კომპეტენციის ფარგლებში, სრულად დაკმაყოფილდა 141 განცხადება; (მათ შორის, ვინაიდან 5 განცხადება, ასევე იყო სხვა ადმინისტრაციული ორგანოს განსახილველი, განცხადებები, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე გადაეგზავნა შესაბამის ადმინისტრაციული ორგანოს, რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს);

- ინფორმაცია ნაწილობრივ გაიცა 3 განცხადებაზე. მათგან: 2 შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილს არ ფლობდა სამინისტრო, 1 შემთხვევაში კი მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი იყო ბუნდოვანი, საჭიროებდა დაზუსტებას, რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს. დაზუსტებული მოთხოვნა განმცხადებელს არ გამოუგზავნია.

- არ გაიცა ინფორმაცია 9 განცხადებაზე;

- 77 განცხადება, ნაწილობრივ ექვემდებარებოდა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში განხილვას. შედეგად, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' მე-80 მუხლის საფუძველზე, განცხადებები განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს. აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაცია ეცნობათ განმცხადებლებს. ექვემდებარებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს განხილვას. განცხადებები კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის უწყებას.

- 3 განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება.

უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, განმცხადებლის მიერ არ გასაჩივრებულა.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემოსული განცხადებები ძირითად შემთხვევაში შეიცავდა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნას. ხშირად მოთხოვნილი იყო შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში;
- კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის ჩატარებული ტრენინგებისა და პროექტებში მათი მონაწილეობოს შესახებ სტატისტიკა;
- ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მონაცემები;
- შუახევ ჰესის ადმინისტრაციული წარმოების მასალები;
- საქართველოში წარმოებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სტატისტიკა;
- ხე-ტყის ჭრის,თევზჭერისა და ნადირობის უკანონო ფაქტების სტატისტიკა;
- ხანძრების პრევენციის შესახებ მოსაზრებების და რეაგირების შესახებ ინფორმაცა;
- ნადირობის უკანონო ფაქტების სტატისტიკ;
- 2022 წელს სასამართლოში წარმოებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები;
- ქ.რუსთავში არსებული საწარმოების მიერ სამინისტროში წარდგენილი გეგმ-გრაფიკების შესახებ;
- დაცული ტერიტორიების მიერ განხორცეიელებული პროექტების თაობაზე ინფორმაცია;
- "RMG Cpper" -ის სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების სკოპინგის დასკვნის გაცემა;
- 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი;
- სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლების შესახებ;

საჯარო ინფორმაციის გაცემისას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურენოების სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს შესაბამისი მუხლებით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასევე უზრუნველყოფილია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების გზით სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (mepa.gov.ge).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას. შესაბამისად, სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილებები არ არის მიღებული საანგარიშო პერიოდში.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას.

უწყებაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (edoc) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში.

აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით'' დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა. შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებს შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ შეფარდებია.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე